

ლიტერატურული განები

№4(188) 24 თებერვალი - 9 მარტი 2017

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

პრეზი

- კატო ჯავახიშვილი
- სოსო მეშველიანი
- თამთა დოლიძე
- მაია წიქარიშვილი

რეცეზია

თამარ კვარაცხელია

- ოლდოს ჰაესლიზე
- თანამედროვე დრამატურგიაზე
- ხალიდ ჰოსეინიზე
- ჯონ სტაინბეკზე

გია ჯოხაძე
როსტომ ჩხეიძეზე

ნონა კუპრეიშვილი
ნინო ხარატიშვილზე

გივი ალხაზიშვილი

306ც სიკვდილს მაღავს

მათ არ იციან, რომ მკვდარი ხარ და ესალმები, ულიმი კიდეც, გაძვალებულს მალავ კიდურებს, რომ მოსასხამში არ გამოჩნდეს თვალშესავლები ჩონჩხი, რომელიც ხალხის თვალში გაგაბითურებს.

შენ ვალი დაგრჩა მეგობრების და საკულტო დვინოს რომ ზიდავ მოწნულათი – შენი ძვლებია, ყველას უღიმი და ამჟღავნებ ცრუ სიგულუხვეს მანამდე, ვიდრე დროებანი შეიცვლებიან.

ნაიბორძიკებ და შემკრთალი ტოვებ დერეფანს, ძვლების დამალვა, ალბათ, სხვა რამ, არც გინატრია, ესაა შენთვის ერთადერთი ბედნიერება, რომ უახლოეს სავარძლამდე ჩონჩხმა გათრია.

მეც ხომ მკვდარი ვარ, ზოგჯერ ღვინო გამაალალებს, სხვებიც თავის ძვლებს დაათრევენ ძველი ტომრებით, ან მე რა მინდა, ან რა უნდათ ამ ჩემანალებს, სასაფლაოდან მოვლენილი ჩვენ ვართ მსტოვრები,

რომ შევესიეთ ამ ძველ ქალაქს და ჩვენს დაქალთან ვთამაშობთ ცოცხლებს, უფრო ზუსტად სიცოცხლობანას, სადღაა გული, გაილია და გადაქანდა და ბოლო სიტყვა უტყუარმა ცრემლმა მობანა.

ავაჩხრიალოთ ძვლები ერთად, კიდევ გადავკრათ, რომ წყლადეცეული ჩვენი სისხლი იქცეს წარაფად, ჩვენ არარსებულ თვალზე გვიყვარს ბინდის გადაკვრა და არარსებულ სიცოცხლისთვის დავიდარაბა.

შენი იმიჯის გაფრთხილება უნდა იცოდე, რათა ერთბაშად არ დაკარგო ყველა ტიტული, შენ სიკვდილს მალავ, სხვა მკვდრებმა რომ არ შეგიცოდონ და შავ პიჯაკში განისვენებ, როგორც ფიტული.

VIII-IX

მრგვალი მაგიდა

- მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი ისტორიულ-პოლიტიკურ ჭრილში
- მალალი მოდერნიზმის ხანა დასავლეთსა და საქართველოში
- მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ძირითადი პრინციპები
- პოსტმოდერნისტული ტენდენციები საბჭოთა პერიოდის კულტურულ-სახელოვნებო სივრცეში
- ახალი ტალღა პოსტსაბჭოთა პერიოდის ლიტერატურაში
- პოსტ-პოსტმოდერნიზმის ახალი პორიზონტები

ზურაბ ჩარუშიძე, პაატა ჩხეიძე, კოკა ბრეგაძე, თამარ იაშვილი

კარაბელები

გია არგანაშვილი

თარგმანი

კატი დადეშქელიანი

საუბრით ნინო ხარატიშვილზე, პამბურგში მცხოვრებ წარმომავლობით ქართველ გერმანულებინოვან მწერალსა და ქართულად თარგმნილ მის რომანზე „ჩემი საყვარელი ორეული“ (ქართულად თარგმნილია აგრეთვე კიდევ ერთი რომანი „შუუა“ და პიესების კრებული, „ჩემი საშინელი ბედნიერი წელიწადი“), რომელმაც პოპულარობით ლიტერატურის მოყვარულთა შორის ლამის აუცილებლად ნასაკითხი ტექსტის სტატუსი შეიძინა.

ყველა რეცეპტზენტი, რომელიც ნინო ხარატიშვილის ლიტერატურულ სიახლეებს შექმნა, ყურადღებას განსაკუთრებულ პოზიციასა და იმ დღი აღიარებაზე ამბევილებს, რომელიც წილად ერგო ახალგაზრდა მნერლის პიესებსა და რომანებს. ცხადია, მხოლოდ მულტიკულტურალიზმისადმი მიკერძოების გამო ნინო ხარატიშვილს არავინ გადასცემდა, იმ პრესტიჟულ ჯილდოებს (დაწყებული შამისონსა და დამთავრებული ანა ზეგერსის სახელობის პრემიებით), რომელიც უცხო ქვეყანაში მოიპოვა. ვფიქრობ, აյ რამდენიმე ფაქტორის ურთიერთგადაკვეთასთან გვაქვს საქმე. ნიჭიერებასა და ნამდვილი შემოქმედისთვის დამახასიათებელ მუდმივ ცნობისმოყვარებასთან ერთად, რომელიც ადვილად ისრუტავს და ითავისებს ყოველგვარ სიახლეს, ნინო ხარატიშვილი აღმოჩნდა მართებულად სტრუქტურირებულ ლიტერატურულ სივრცეში, სადაც უამრავი პრემია თუ გრანტი, საშუალებას აძლევს გერმანიაში მცხოვრებ მრავალ მწერალს, იფიქროს არა შემოსავალზე, არამედ საკუთრივთ თავის ლიტერატურულ შრომაზე. ნინომაც ისარგებლა ერთი ასეთი გრანტით — ბოშის ფონდს დაფინანსებით რიგით მესამე რომანის — „მერვე სიცოცხლე (ბრილგასთვის)“ — მოსამზადებელი პერიოდი (ეს რომანი ამჟამად ქართულად ითარგმნება) მოსალვისა და სანკტ-პეტერბურგის არქივებსა და ბიბლიოთეკებში მუშაობას დაუთმო. მნერლის პროფესიისადმი ასეთი ევროპული დამოკიდებულება, რომელიც სწორად გააზრებულ მიდგომასთან ერთად ინტენსიურ შრომასაც მოითხოვს, ნინოსთვის პიროვნულადაც მისაღები აღმოჩნდა. აი, როგორ პარალელს ავლებს იგი: „საქართველოში ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით პირველი მიღწეული მიზნის შემდეგ, იყინება, კარგავს პროდუქტიულობას და წარსულით სულდგმულობს. გერმანია მოსვენების საშუალებას გიკარგავს. აქ მუდამ საქმე უნდა აკეთო. გაჩერების საშუალებას არავინ და არაფერი მოგცემს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ყველასთვის, განსაკუთრებით — ხელვანისთვის...“ (რუსუდან დარჩიას შვილის ინტერვიუ ნინო ხარატიშვილთან. „24 საათი“, Weekend, 2014, 21.09.).

ამთავითვე მინდა, განვმარტო სათაურის პოეტიკაც — პირველივე სიტყვა „მკვლელი“ ძალზე პირადული აღმოჩნდა. თავისი ორაზროვნებით იგი ავტორის მიერ ერთბაშად თავსმოხვეული იმ განცდის გრაფიკულ ნიშნად იქცა, რომელიც, როგორც მკითხველს, მთლიანად დამეუფლა და მოხელ ჩემს არსებაში რომანის 106-ე გვერდზე ამოკითხული ამ ფრაზის შესატყვისად და, იმავდროულად, დამამუნათებლად



ნინო ხარაშვილი

ჩემი
საყვარელი
ორეალი

ରୂପାଳେ



ნონა კუპრეიშვილი

„გვალები“ ტექსტების აუტანები ხიდი

ტური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებსა გრძელებს” (ქეთევან მეგრელიშვილი — „უშუალო, ჯუჯა თუ სიტყვებს შორის დაკარგული და კვლავ ნაპირი აზრი“ „არილი“, 2011. მარტი). სრულიად მისაღებად ბი შეხედულებაა და ალუზიურად გამოხმობილი სხვა ავტორიც, ნობელიანტი ელფრიდე იელინეკიც, უმეცდომო გადამისამართებას ჰეგავს. ელფრიდე იელინეკი თავისი სულიერი წყობით მიღრეკილია, შექმნას პაროდია ტრივიალურ სასიყვარულო რომანზე (ზაგლითად, „საყვარლები“), ამასთან იყოს სკანდალური, ფსევდომაიმოტი და უმოწყვალო და უამრავი შინაგანი პროტესტების გამნვავების პერიოდში თავისი პერსონაჟის, ერიკა კონუტის შეგავსად („პიანისტი ქალი“) სხეულის ინტიმური ადგილიც კი დაისეროს (ანა კორძაია-სამადაშვილი — „ელფრიდე იელინეკი: სიყვარულს დანატრებული საყვარლები“. „არილი“, 2002. №6). ნინო ხარატიშვილთანაც სილვია პლათისა და მარინა ცვეტაევასებურ ემოციათა სიშიშვლეს პოულობენ, მწერალს გრძნობების ანატომიბასა და ზოგჯერ პათანატომობასაც „სწამებენ“ (ქეთევან მეგრელიშვილი). დარღმანდანც, ჩვენს ავტორს ამგვარი უკიდურესობებისგან სწორედ რომ ორი კულტურის ზღვარზე დგომა, ერთი შეხედვთ, განსხვავებულ სამყაროთა გარედან ხედვისა და შეფასების შესაძლებლობა იყარავს, როგორც თვითონ ამბობს, ერთგვარად გაურკვეველი, მოუხელთებელი სტატუსი, როდესაც გერმანიაში ქართველი ხარ და საქართველოში — გერმანელი. ამ თემის სწორ აქტივიზებას ვპოულობთ ახალგაზრდა ლიტერატორის, ადა ნებაძის „ორეულისადმი“ მიძღვნილ ნერილში „საყვარულის ტრაგედია იმში და სიყვარულის ტრაგედია მშვიდობაში“: „ნინო ხარატიშვილის რომანის წაკითხვა კიდევე ერთხელ გვარნმუნებს, რომ სამყაროში უამრავი პრობლემაა, რომებიც ყველგან, ყველა მხარეში ერთნაირად ანუხებოთ ადამიანებს. იქნება ეს მოწესრიგებული და დავარცხნილ-დალაგბული ევროპა თუ ანერნილი, ქაოტური და ომებში ჩაბმული კავკასია. რამდენადაც ძნელია პარალელის გავლენა ამ ორ საპირისპირო სამყაროს შორის, იმდენად ადვილია ერთი დასკვნის გამოტანა. ადამიანის ბედნიერება არც კომფორტზე, არც (ცივილიზაციის სარისხზე და ტექნიკის ბუმზე) არაა დამოკიდებული. მარტოსული ადამიანი ყველგან უბედურია...“ („კრიტიკა“, 2016. №11). ამ-ტომაც მწერლის მზერა უკიდურესად ინ-

ტროსპექტულია, რადგან, მისი ღრმა წე-
მენით, ამ სიტუაციიდან საკუთარი-თავის
გამოხსნა არა სხვასა ან სხვებს, არამედ მხო-
ლოდ ჩვენ შეგვიძლია ან უნდა შეგვეძლოს.

გარდა ამისა, და ესეც არსებითი მომენტი მგონია, ნინო ხარატიშვილი „უუ-ჟასა“ და „ორეულს“ შორის მამაკაცისადმი სიძულვილსა („უუფში“ მართლაც არის არა მარტო მითის, არამედ ტრადიციულ ურთიერთობათა დეკონსტრუქციის მცდელობა) და მამაკაცისადმივე ლამის მანიაკალურ სიყვარულს შორის მერყეობს, რაც მის სრულ უარყოფაზე უკეთესია და თავისი ამ პოზიტიური მხრით (თუკი ასეთი მხარე მაინც არსებობს) რომანის ეგრეთ წოდებულ ქართულ ნაწილში ვლინდება, თანაც ისე, რომ მხატვრულად სწორედ ქართველებისთვის დამახასიათებელი სიცოცხლისადმი უსაფუძვლო სიყვარული-თა გამართლებული. სხვა საქმეა, რომ ეს არ არის, და არც შეიძლება იყოს, მარტივი სიყვარული, მაგრამ იგი ჯერ კიდევ საპირისპირო სქესთა ერთიანობას გულისხმობს: „სიყვარული უმძიმესი დანაშაულია, რომლის ჩადენაც შეუძლებელია თანამზრახ-ველის გარეშე“ — შარლ ბოდლერის ეს სიტყვებიც ავტორის მიერ ერთ-ერთი პიესის ეპიგრაფად ამიტომაცაა გატანილი.

ქართველ მკითხველთა ერთი ნაწილის თვალთა ახედვით, სტელა შემდგარი ქალა. არც მისი სამსახურებრივი ინტერესი იწვევეს რაიმე ეჭვს. მთავარია, მან თავი დააღნია წარსულის ლანდებს და რეტრო-სპექტული ოჯახის რძალი გახდა. გეცნობა ამ ოჯახის კეთილდღეობის ავტორის მიერ აშკარად ირობიზებული ქართული და უცხოური წარმოშობის მარკერები, რომლებიც მხოლოდ გარეგნულად არიან განსხვავებული: სახლი ბლაკენეზეში (ალბათ, რაღაც ჩვენი ვაკის მსგავსი), თითო წათლული ნიგერიასა და გვატემალაში, ინდური კერძები, რომლებსაც ხშირად ამზადებენ... ასეთ ცხოვრებას, რომელიც სტელას პატარა შვილს მშვიდ და უზრუნველ მომავალს უქადის, თვითონ, არც მეტი, არც ნაკლები, „ბედნიერების დიქტატურას“ უწოდებს. მეტიც, მას სურს „ამ ჰარმონიის ბრჭყალებიდან“ დაიხსნას ჯერ კიდევ უასაკი საყვარელი, სახელად თეო, და შესთავაზოს რა? დედა, რომელიც მასთან ყოფნის დროსაც გონებაგაფანტულია, რადგან უკვე თოლიასავით გაფრენაზე იფრობს? თუმცა ყველაფერი ასეთი სწორხაზოვნებით რომ ვთარდებოდეს, მაშინ ნინო ხარატიშვილი მორალისტი იქნებოდა და არა მწვავე კითხვების დამსმელი თანამედროვე მწერალი. სიყვარული მხოლოდ ერთი შეხედვითაა მწერლის მიერ გაგებული, როგორც ცხოვრების უკიდევანობაში ჩაშვებული ღუზა, რომელიც ტრადიციული გაგებით გადამრჩენიცაა. იგი უფრო თვითგანადგურებისკენ მიმართული აკვიატებაა, რომელიც ყველას სერიოზულ გამოცდას უწყობს. სტელას სიყვარული, შეიძლება ასეც ითქვას, ბედნიერების მისეული გაგების მხოლოდ პირველი საფეხურია, მეტიც, ძლიერი იმპულსია, რომელიც მას პიროვნულად ცლის, მაგრამ, იმავდროულად, აკაუებს, უშიშარს ხდის და შემდგომი ქმედებების კატალიზატორადაც იქტევა. ამიტომაც შეიძლება, ასეთი კითხვაც გაჩნდეს — „იქნებ სიყვარული ანარქიას ჰყავს?“ იქნებ მას შემდეგ, რაც ის ჩაივლის, იწყება ეს სანუკვარი მოძრაობა თვითაღმოჩენისა და თვითფლობისკენ? ყოველ შემთხვევაში, სტელას მიერ განცდილი ვნება ადვილად ირგებს ამგვარ ზედსართავებს: „პასრი, დაუნდობელი, დასახირებული, განაამებ-დაფლეთილი...“ სტელას სწორედ ასეთი მეცრი სიყვარული ერგო წილად და რა გასაკვირია, რომ იგი დაუნახებლად ანგრევს იმას, რასაც ჩვენ დაცულობასა და სიმყოთლოვას ვუწოდიბოდ.

ასეთი დიაპაზონის პრობლემატიკის დაძლევა მკითხველისთვის სულაც არ არის ადვილი, მაგრამ გატაცებული სტილის უჩვეულო სიმსუბუქით, თხრობის დი-



კატო ჯავახიშვილი

შუალედის გოგოს ამპავი

1) ცნობა

მინდა, გაცნობოთ:

ჩვენ დავიბადეთ გოგოებად.

ეს არც გვინდოდა, არც არ გვინდოდა, არც რამ ვიცოდით.

ჩვენ გვქონდა მხოლოდ გათხოვების უპირობობა

და ხელისგულის ხაზებიდან საფუარივით ამოსული ერთი ცხოვრება, გაცემული, როგორც ავანსი, —

გასხვისების ხელშეკრულებით.

ჩვენ გვქონდა ეზო და თაბაში „რეზინობანა“ და ხშირად,

როცა მუხლებიდან სისხლი გვდიოდა,

გვეუბნებოდნენ, რომ ეს გოგოს არ ეყადრება, რომ გოგომ უნდა პირდაპირ და სწორად იაროს,

რომ სახლში დროზე ცოტა ადრე უნდა მოვიდეს

და რომ გოგოებს ეკრძალებათ

ღამის ქალაქი

თავისი ბნელი და საშიში მოსახვევებით.

ჩვეზე ზრუნავდნენ ძმები, მათი მეგობრები, ან სულაც გარე ბიძაშვილები.

ყველას, ვისაც არ ეზარებოდა, ჰქონდა უფლება ჩვენს საცვლებში ურცხვად ჩახედვის.

არ გვქონდა ბინა,

რადგან ბინის ხვედრია და ერთი ღამის სიყვარულით გასხვისებულებს

წლებიდან წლები გადაგვეზნდა მათი სარცხი:

ქმრების, შვილების, მამების, გარე ბიძაშვილების.

იქნება მაშინ, როცა აშიშხინდნენ ტაფები და აზუზუნდნენ ქარები

და წყალმეტი გოგოსავით ჩაისარშა მათში საყოფაცხოვრებო ყოველდღიურობა,

იქნება მაშინ, როცა ატირდნენ საწოვარები და ძირგამოცლილი სასადიოლი მაგიდები

და საწოლის ქვეშ შევარდნილი ლანჩგამოვარდნილი ბავშვის ფეხსაცმელები

სკოლისკენ გაიქცნენ

და როცა თოვლმა გადაწყვიტა არმოსავლა

და სიყვარული გახდა ისეთი ამაზრზენად ცხადი,

რომ დედებმა საშვილოსნოები გამოიდეს

და თავიანთი კაცების ამბები კრიალისანზე ჩამომარცვლეს,

კლიტორიმოჭრილმა გოგოებმა კი შვილები სხვის ცხოვრებას გაუზინეს,

რომ ბავშვობისას ნატკენი მუხლებით

საკუთარი საწოლი ოთახების გაუნაცებელ მტვერზე დამდგარიყვნენ და ეთქვათ:

იქნება ვამბობა: ეს ცხრათვისხელა მოლოდინი. და უცემ კაპა.

რუშიანი ან სულაც სადა ბაფითა თმაზე — წითელი ქილო.

იქნება ვამბობა: რა ძნელია, რომ წვიმა მთელი ღამით შეკავდა

ცაში და ბოლოს ინება და სახურავის კიდიდან ურნავს.

იქნება ვიცი: მოლოდინით დაღლილი და თავდახრით მჯდომი

ეს დარცვენილი დედაჩემი გულის მხარეს, ხალათში მმალავს

და სიძევლისგან გადაცრეცილ, სულ უბრალო თუნუქის ჯამში

ჩასმული ჩემი წილი ფაფა ვალია თითქოს, რომელსაც ღამე-

ნათევი და უძეო ქალი, საკუთარ ფაფას სხივნაკლული თვალებით უხდის

და მერე, როცა დაიმრება სახლისკენ ქმარი

და მერე, როცა დაკალდება მარილი სადილს

და მერე, როცა ვაწორმენჯა სხეულის გამო

დანირბლულ თვალებს სხვა ქალების ცხოვრებას უცვლის,

იქნება ვამბობა: ეს წელმიწოდილი დედაჩემი და გარეთ ღამე.

იქნება ვიცი: ეს თვალდათხრილი მამაჩემი და ღამით ქარი.

უკვე გაცნობეთ:

ჩვენ დავიბადეთ გოგოებად.

ეს არც გვინდოდა, არც არ გვინდოდა, არც რამ ვიცოდით.

ჩვენ გვქირის მდედრების უპირობო თავისეფლება

და ეს ცხოვრება გაცემული, თითქოს ავანსად:

ქმრებისთვის, მისითვის, მამისთვის, გარე ბიძაშვილისთვის,

ხელშეკრულების პირობებით არ იზომება.

ჩვენ შეგვიძლია გავიაროთ ფეხის არევით,

ქუდით, კაშნეთი, ლანჩჩინი ფეხსაცმელებით.

ჩვენ შეგვიძლია საყვარელი ღამის ქალაქი

მოვსინჯოთ ბნელი და საშიში მოსახვევებით.

ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ის, ვინც ვართ, ან არა

ანდა უბრალოდ არავისგან გვინდოდეს საზრდო.

იქნება ვამბობა: სამომავლოდ ამ გულს გაბარებ.

იქნება მინდა: სამომავლოდ გულში გამზარდო.

და იქნებ მაშინ,

როცა სამოყვარულო კამერით გადაღებულ სიყვარულს თოვლი დაფარავს

და ჩვენი ბაფთები ბანებული ნაწინებიდან

რიგ-რიგობით გამოიცრებიან ტანდამძიმებული საშინაო დავალებები,

რომელიც ჩვენ ვერ, ან არ შევასრულეთ,

და ჩვენი დედების გამყალებული საშვილოსნოებიდან გამოვძრებით ჩვენ:

თოვლით ისეთი ტებილი ჩასახებჩია...

რომელიც ისეთი ტებილი ჩასახებჩია...

იქნება მაშინ, როცა ჩვენი შვილების ფეხსაცმელები სკოლისკენ გაიქცვიან

და გახეზილი ქვაბებითა და კარისკენ თვალებმოქცეული ღვეზელებით

ტანისამოსგაუხდელები ლოგინზე მივეგდებით,

რომ ნინა ღამის გაციებული ზენრებიდან საკუთარი თავი დავიბრუნოთ,

ჩვენ, ვინც ვთქვით, რომ:

ეს დაბადება, სადაც არ გვეძინება.

ეს დაბადება, სადაც გვეშება.

ეს დაბადება, სადაც ვცხოვრობთ,

სადაც დავეცით და მუხლებადადატყავებულები წამოვხმით,

სადაც შევძლით და საკუთარ ცხოვრებებს გავექეცით,

საიდანაც გაუზეხავი ტაფები და ფხენილშერჩენილი სარეცხი მოგვდეს

ჩვენ, ვინც დავიბადეთ, არც არ გვინდოდა, ეს არც ვიცოდით,

მინდა გაცნობოთ:

ქმრების, შვილების, მამების, გარე ბიძაშვილების.

რომ დაბადება გადაიდო.

ჯერ ნაგავია გასატანი:

ქმრების, შვილების, მამების, გარე ბიძაშვილების.

რომ დაბადება გადაიდო.

ჯერ ნაგავია გასატანი:

ქმრების, შვილების, მამების, გარე ბიძაშვილების.

რომ დაბადება გადაიდო.

ჯერ ნაგავია გასატანი:

ქმრების, შვილების, მამების, გარე ბიძაშვილების.

რომ დაბადება გადაიდო.

ჯერ ნაგავია გასატანი:

ქმრების, შვილების, მამების, გარე ბიძაშვილების.

რომ დაბადება გადაიდო.

ჯერ ნაგავია გასატანი:

ქმრების, შვილების, მამების, გარე ბიძაშვილების.

რომ დაბადება გადაიდო.

ჯერ ნაგავია გასატანი:

ქმ

სიჩერა

უსირცხვილოდ უნდა დავბერდე. დაკენილი ტან ჭიაყელასავით გავწელო. და ნაოჭებში ჩვეულებრივი დღეები ჩავიწვინო. როგორც ლოგინში ინვენენ ხოლმე შიშველ სხეულებს, როგორც ლოგინში იციან ხოლმე ერთმანეთის კანზე მონარჩენი დედამიწის ლოკვა, როგორც ლოგინში იციან ხოლმე გარდაუვალი სიკვდილი და გარდამავალი მონატრება.

ყველა ტკივილის გამო უნდა დავბერდე. ბებერი გულით სიცოცხლე უნდა მოვიხადო და დღეების ზამთარში

ძარღვებდებრილი ჩირქებით — ჩემი თითებით კომშის კომპოტი მოვადულო. მერე შეგვიძლია ძვლები გავცვალოთ.

ცხოვრებისგულსართიან კარმელებზე ნარდი ვითამაშოთ,

ან შეგვიძლია დავწერ და ჭერში თვალები შევაწყოთ და ჩუმად,

ძალიან ჩუმად დამისველდეს წელსქვევით კაბა, მოჩლაჩული კაბა გაზაფხულებგამოვლილი კაბა, — ვითომ წყალი გადამესხა, ვითომ მდინარე გადმოგორდა ჩემი ტანიდან. მოსალოდნელად უნდა დავბერდე.

წვეტიანი იდაყვებიდან ნაქურდალი ყვავილები ამოვზარდო და თვალებდახურული ორმოებით

სიყვარული მოვიგონო. როგორც ბებრებმა იციან ხოლმე გაზაფხულის ლოდინი მზისკენ ნახევრადჩაინებულსახებმიშვერილებმა, როგორც ბებრებმა იციან ხოლმე

თვალების ნარსულში ნასვლა და ამ ნარსულში თვლემა და თვლემა და ამ თვლემაში სერიალების გასწრივ გასული დღეებიდან გადმოსვლა და ამ გადმოსვლაში უხერხული ფშვინვა და ფიქრი, რომ ცხოვრება იწყება

მათი გამომშრალი სხეულებიდან და მათი სამომავლო ნარსულებიდან და მათი უხერხული სიბერიან იწყება და მათი მოლოდინიდან და

ნახევრადგათენებული ლამეებიდან და შენ კი, უნდა შემპირდე, რომ უსირცხვილო იქნება ამ ცხოვრების დანყება და უსირცხვილო იქნება სიბერებც;

რომელიც ჩემს თავს აუცილებლად უნდა მოვუგონო უხერხული ახალგაზრდობის გადასარჩენად.

სოსო
მეშველიანი

აირველი თოვლი

ეზოში ქათმებს აპურებს და ვით შარშან, ნელსაც, სისხლს უშრობს ქორი, ასე გარჯით სხეულ დაბეჭილს, მეც განტვირთვისთვის ვჯდები ხოლმე ამ ძველ კაფეში, განცალკევებით, არა ღვინოს, ფორთოხლის წვენს ვსვამ.

აქ უკვე ცივა, ინურება რადგან ენკენის თვე და წვიმს, სულ წვიმს, ამ ზღვისპირა ქალაქში ახლა მიმოდის ხალხი, ზის, არ აგდებს არავინ ძალლად

მათხოვარს, იქვე ვიტრინასთან დგას მანეკენი, უცველ პოზაში (მოვიხელთე ფიქრებში, მაგრამ საწყალი ქალი ამ ქაოსშიც უმალვე გაქრა).

თოფმა იჭექა, აიშალა გუნდი ჩხართვების, უცებ გაშიგვლდა მოქანავე კაკლის ენწერო — ულამაზესი წყვილი ფრთა ჩანს, თოვლში ჩაფლული.

ნეინდა ხე

„რამეთუ არა არს ხე კეთილი, რომელმან გამოიძოს ნაყოფი ხენეში“.

ლუკა

ეს რა უშნო ხეა, არაფრის მსგავსი, უქლოროფილო ფოთლებით, ნაავადმყოფარი, რალაცნაირი უფორმო ჩრდილით, ერთი სიტყვით — რა საყვარლად მახინჯია. რატომდაც ასე მოხდა, ჯერ ეს ხე იდგა და მერე გაჩინდა სოფელი, სადაც მე ვცხოვრობ, სადაც პაპაჩემი დაიბადა. ამ კაკლის ხემდეც იყო თურმე მცირე სოფელი, უსახელო და სულ სხვა ხალხით დასახლებული (ასე ამბობენ, იმინმებერ უანგიან ცულებს რომელიც გუთანს ამოყვა, ან, ბარს მესაფლავის). შეხორცებული კაკლის ფულუროც დღემდე ინახვს თურმე მათ ხსოვნას, რომელილაც თვის, მხოლოდ ჟამას ხალმთვარიბის, თუ ყურს მიადებ, ხსი შიგნიდან ჩურჩულიც ისმის. ხელის კანკალით ამაგრებენ, დაშაშრულ ქერქზე, სანთლებს, რომლითაც აცილებენ სულებს სახლიდან. ეს კაკლის ხეა, ვერ აღმართავ ამ ხეზე ნაჯახს, თუნდაც ხენეში, სულ ჩრდილოვან ყანას, თუ ბოსტანს. მხოლოდ მასავით უნაყოფო გლეხი თუ მოჭრის, მხოლოდ მას ძალუძის... ეს წმინდა ხეა, კაკლის ხე, ჩვენთვის.

*ხენეში — ხენეში მინა — მნირი მინა. ხენეში ხე — უნაყოფო ხე.

სოხელიც მიღობა და დაისახვით მიმართება

ინვიმებს (არც ეს დღე იქნება გამონაკლისი), ჩამოსხდებიან თოლიები გრძელ მკლავზე ამნის, ქალაქი თითქოს უფრო შფოთავს, როდესაც არ წვიმს, კაფეში ვზივარ, ის კი, ამბათ ახლა კაკლის ზინ

იქ, სადაც სქელი ქარაგოზი* ფარავს კლდოვან ტევრს,

ვზივარ რბილ ქვაზე, ფერხევემაც ვგრძნობ სირბილეს, იქვე, გაარხილებულ** თოვლზე

უფრო მყარად დგას ძალლი, მაღლა ანულ კუდს რომ ასე რიტმულად იქნებს.

ნაძვის ქერქიდან წყალი წვეთავს,

მინამდე დახრილ

ტოტებზე ქარი გამოაშრობს

წინვებს და გარჩებს,

მაღლა ბურქებქეშ

შაშვი ქექავს თაგვების დახრულ

თხილის ნაჭუჭებს,

გამუდმების რალაცას ეძებს...

რბილ ქვაზე ვზივარ,

გაქავებულ თოვლზე დგას ძალლი,

მიშტერებული ქარით ოდნავ შერხეულ ძეძებს.

*ქარაგზი — ლეზზე (ქაზე) მოკიდებული მონითალო ან ლიანაცრისფერი ხვეს.

** არხილი — თუცა შემბალი თოვლის ზედაპირი შეყინა, ეწოდება ბზარი.

შიგნილი

ძალიან მომშივდა, მეგობარო,

იცი, ეს რა სასწაული განცდაა?

იცი, ეს რა ბედნიერი შიმშილია?

თითებითაც გრძნობ პურის გემოს,

როცა ხელებს აფათურებ ზურგჩანთაში,

ვეებროთელა ცაცხების ქვეშ.

ჯერ წყალს გამოიცვლებ,

თივის მტკერს გამოირცხავ პირიდან,

შემდეგ


პურის ბზარში შებარულ ჭიანჭველებს გადმოფერთხავ,

ბურის ფოთოლში გახვეულ ყველს დანვდები

და...

იცი, ეს რა სასწაული განცდაა?

იცი, ეს რა ბედნიერი შიმშილია?



ეპო

ვინ გამოსცა ჩემი ხმა,
ვისი ექო ვარ?!

იქ ღრუბელივით ვაჩნდა სიტყვა,
ის არასოდეს არავის უთქვამს,
იგი არსებობს დასაბამიდნ,
როგორც ბიძგი სხვა სიტყვების ამოსათქმელად,
როგორც ჩვენი უმწეობის ფრთხილი დასტური...

რა სითბოა ამ სახლის ჭერქვებ
და სარკებული მზით აქსებული —
მუდამ ცისენ რომ იხედება,
ახლა ოთახს ათვალიერებს, სადაც მე ვზივარ
და მოსალოდნელ დამარცხებას ჩუმად ვზეომობ.

ნუ გაიკირვებ, რომ ბალახის ხილვაც მაოცებს,
რომ ეს კედლები, ჩემს სიჩუმეს რომ აგროვებენ,
განსაციფრებლად მომნატრებია,
რომ ყველა სილრმე,
სადაც თითქოს ჩააღწია გონების თვალმა,
არის სინების ზედაპირი, სხვა არაფერი...

მე აქედან ვერ გავიქცევი და ჩემს სხეულში,
როგორც საკანში, მოვიხდი სასჯელს.

რაც მუდამ არ ჩანს, იგი უფრო მკეიდრად არსებობს
და კიდევ უფრო საგრძნობია
სიახლოვე მისი სიშორის...

მისი ფიქრი — გულიდან გულში მოარული,
ხმათა შემკრები,
აღსაცავა უცნობი შუქით და კონტურებით,
ისინი ფრენენ, არა თვალებში
და არც გრძნეულ ნარმოსახვაში,
არამედ აქვე, ფარულ სილრმეში.

ის, რაც თვალებმა გადაივიწყეს,
სისხლს ახსოეს დღესაც
და მისი ჩემა დავიწყების ყინულსაც ალლობს
და დნება, დნება ყოველივე:
სახლი, ვარსკვლავი და ის ინახავს სიტყვებს,
წიგნებზე უფრო დიდხანს,
ვიდრე მოხუცა ბიბლიოფილი.

სიჩუმის სული ცოცხლდება ჩემში
და მე თანდათან, ვერძნობ დუმილის ძალადობას
და შემკრთალი ვალებ სარკმელს,
რომ ოთახში შემოვუშვა სიცოცხლის ხმები...

...უსმენ თვალებით ნათქვამს და ფიქრობ:
ამ კამერტონზე რომ ააწყო შენი ცხოვრება,
მზეს და მინას, მდინარეს და
დამალულ ქარს უნდა უსმინო
და უნდა იყო მათი გაზრდილი,
რომ სიტყვაში დაუნახავად იგრძნო მზე
და გაიხსნო დამეტები მზის ნაფერები;
როცა სულის უთქმელობა გამჭვირვალეა,
სიტყვას არ ექცება.

გაიხედე და იმ ყვავილს შეავლე თვალი,
მეუთვალავედ რომ გაიშალა, როგორც პირველად,
იგი ხომ სათქმელს სურნელით ამბობს
და ასე გიხმობს,
თვალმაც ხომ იქით გადაინაცვლა
და უხილავ სიღრმეში ჩაჰვევა.

აქ შეიძლება უცაბედად თვალი მოპკრა
ან იგრძნო მისი სიახლოვის გამჭოლი წუთი,
ყველა დროს რომ ფლობს ერთდროულად,
მაგრამ თვითონ არსად არ არის

და მაშინ უყვარს ჩვენში ყოფნა,
სულის გარდა რომ ვერავინ ამჩნევს...

დაეჭვება

ეს ეჭვი მაინც მიდის იქითკენ,
არ მეგულება სადაც სიკეთე,
მიხვალ და გულსაც ალბათ იქ იტკენ,
კართან, რომელიც სიმწრით მიკეტე.

აგდევნება ეჭვის ღრუბელი —
როგორც ბავშვობის სკიდან ფუტკარი,
ვერ გრძნობ კარგია თუ დამდუცველი,
ახლა რომ უთხრა, რაც ვერ უთხარი..

ნაბიჯს გადადგმულს მისენ თუ სხვაგან,
არავინ იცის დღეს რა მოჰყვება,
ფიქრში არსებულ კონტურულ საგანს —
შემორიგება თუ მბოხება;

ნარმავალია ქვეყნად ყოველი,
მინდორი ხმება, ხან იქარგება,
მე კი ყოველთვის იმ ხმას მოველი,
ვინც არასოდეს არ იკარგება.

ვინაა ქარზე მოუსვენარი?!
დიახ, ვინ, რადგან ქარი სულია...
სულ ახალია ძელი სცენარი
და შეცვლილია სუნთქვა სრულიად.

ქვეყნის ტკივილებს სულს რომ უცერავს,
რომ აყურადებს მთელი სამყარო,
არავინ იცის, რა დაუბარა
ქარს მიუსაფარს და უსახლეკაროს.

სულში პოულობ ქარის ნაკვალევს,
როცა გარეთ ხარ, მაინც შინახარ,
და მზის შეგრძნების მხურვალ აკვარელს
მოუსვენარი სისხლი ინახავს.

ალმოვაჩინე, რომ ეს სიმღერა
შენმა სიტყვებმა შემომინახა,
რომ უთვალავი ფესვით დაგექებ,
სხვაგან გექებ და თურმე შინახარ!
ამ სიმარტოვით გამოხრულ გულში
და მოლოდინით გამქალ ნამებათან,
სიტყვა ცვილივით რატომ გამილღვა
და მეტყველება რისთვის ნამერთვა.
მეც ხომ თვალებით გესაუბრები,
მუნჯივით ხელსაც მოვიშველიებ,
მადლობელი ვარ ამ სიახლოვის
და გზის, რომელსაც ვერ შეველი.

ვუძღვი ლელა ლელის!
მე ისიც მყოფინის, რაც მეძღვა დღემდე ღვთის ნებით,
გაქცეულ ქარებს შევატოვე ჩემი მიზნები.
წუთი რომ წუთით თვალს აახელს და ცას მაჩვენებს,
შინ ფრენა-ფრენით ბრუნდებიან ჩემი ხიზნები...
ნამომენევა მდევარი და თვალს ავარიდებ
და უნებლიერ გამოვიხმბ სულს სამარიტელს,
აღარც ის მიკვირს, აქ რომ დავრჩი და რომ ვლილინებ
და რომ სიცოცხლით შეიცვალა გზა სამარემდი.
წუთისოფელი — ზოგჯერ თვალის ერთი ახელა,
გულს გადაიშლის, დაფარულის იცის გამხელა,
ხან მიგატოვებს, გემალება ან მი-გივი-წყებს
და ასეთ ყოფას, ყოფა აღარ ჰქვია სახელად.

უბრალოების სულმა შეძლო შენი შენახვა,
მხოლოდ უბრალო სიტყვით ვალნება, სადაც შენახარ.

ახალ სიცოცხლეს ვიწყებ ხანდახან,
აღარ მომბეზრდა ბლეფის თამაში,
თუმცა, არ ვიცი, სად ვარ, სადახარ,
ვიღვიძებ რომელ ეპისტემაში.
გაურკვევლობის ფარულ მოლოდინს
ვწყიდები, ზოგჯერ, სულ აღარ მომდევს
და ამქვეყნიურ ბოლობილოთი —
ისევ მივყვები სულს საღამომდე.
ვინ დამაყენა ღამის დარაჯად,
საქმის გამრჩევად და მეთვალყურედ,
რას გამომიჩნეს, რაც აღარახანს,
ღამე მეთალხე თუ მეთალხურე?
მოვა წუთი და ცაში წამიყვანს,
გულს შეცუძახებ, ძმაო, აღრეა!
თუ ყველაფერზე მეტად ცა მიყვარს,
რატომ დამჩერდა ფეხის ათრევა?

აწმყოში იგრძნობა ახალი სიცველე
და შენ დანახახავ, ძველდება ყოველი
და ვიდრე აქახარ და არ მოიცელე,
ნაცვლად ყვავილისა მოწყვიტე ყოილი.
საეჭვო თვალი გყავს გზად გმოყოლილი,
ჟამიშამ რომ ჩითავს მოპარულ საფულეს,
ყოველთვის ბლეფია მისი მოყოლილი
და როცა ენევა — თავის სულს აბოლებს!
ნადი, შემიანი თვალი აირიდე,
ისინი დუმილში სათქმელს რომ ლესავენ,
თვალი უხილავი გვიმზერს ჰაერიდა,
როცა დაიყილებს მამალი მესამედ.

როგორც ღრუბლებს შორის უმშვიდეს სილურჯეს,
მე შენს გამოხედვას გულში დავიუნჯებ,
არ ვიცი, რას მეტყვე, ჩურჩულით თუ რისხით,
დიახ, შემიანი თვალი აირიდე.

თუკი მიმანიშნებ თვალის გაპარებით
იქითკენ, საითაც ხილვა ლამპარია,
მას ჩემი სიცოცხლე მუდამ აბარია,
ახლაც დამთაბუნა მზერის დაფარებით.

შენი სიახლოვე სიტყვით იბადება,
დაგმარცვლავ და უხმოდ ვერთხლობ ერთ სახეს
და თვალში რომ ბზინავს, ალბათ ის ბადეა,
ჩემში რომ არსებობს ჩუმი და ერცახე.

შექია, ღამეს გულში რომ უცემს,
მხოლოდ ის ხედავს, რაც არ ჩანს ჩვენთვის
და მის სივრცეში ჰყავის სინათლე,
ფიქრიან თვალის და გულის ღვენთის.
გადაიფიქრე... ახლა თუ დალევ,
ღამესაც შესვამ ამ ჭიქის შესმით...
ხომ გაქვა იმედი, რომ მოვა ჟამი,
თვალში გაჩენილ მზის სხივში შესვლის?!
ისე ჩაივლის, ვერც კი გავიგებთ
და საუკუნეს წუთივით შეცვლის.

დღე გვახორციელობა

ველარ იხსენებ ძილ-ღვიძილის შავ-თეთრ ფრაგმენტებს,
თვალს რომ გაახელ და ფანჯრები გაიცრიცება,
შეაჩერებ მზერას და თვალების გალიცლიცება
იწყება შექით და მორიგი დილა თავიდან
სინათლის ამბავს მოგიყვება, როგორც პირვანდელ
ვერსიას, სადაც არაფერო არ გამოცვლილა
და არც საერთო გამარტინ წყებილ ძილებთან
და არც კი იცი, აქ ვინ იყო, ანდა თუ იყო,
სიზმარ-ცხადიდან ვინც დილისკენ მიგაცილებდა

და შეგატოვა დღის ცრიამულს და დროს ცვალებადს
და მოზარდის ხმას, რომ დაექცებს გუმბათს დისკანტით.
ფანჯრის რაფაზე მოკაუნე ჩიტის ნისკარტი
სიცოცხლის ხმა და ყველაფერს აღემატება
უბრალოებით, საზრდოს ძებნის უშუალობით,
რომ იმეორებს მეცუთე დღეს, შავი შაშვია,
როცა სამყაროს დაბადებას ჰყვება გალობით.
და დრო, რომელიც მიდი-მოდის, მხოლოდ თაობებს
იცვლის და ასე დაეცება მიმდევის გამოცემის მიზნით
მეცნიერების ცვალების გამოცემის მ

გრძნობ, ვერ ივინწყებ შენს ადრინდელ აკვიატებას
და სკოლისაკენ მიმავალ ბავშვს მზერით აცილებ
და შენს წინაპრებს, შენს შვილიშვილს,
შენც, რა თქმა უნდა,
ჯერ კიდევ სადღაც მიმავალი დრო მიგაცილებთ.

მორიგი დილა

შენ რა იცოდი თუ ეს ლამეც გათენდებოდა
დაცხავბული წყვეტილ ძილით, უძველეს ურვით,
მალავდი, სადმე ბალახივით ამოსვლის სურვილს,
როცა ტკივილმა გაარბინა მკერდში ელდებად,
მაგრამ გათენდა, უშენოდაც გათენდებოდა
და გაგიხარდა, შენთან ერთად რომ გაგრძელდება

ეს დღე მორიგი, წამოდგები და გაიხედავ
შენი ფანჯრიდან იქით, როგორც სხვები ისევე,
ლიპრიან თვალებს უშრეტელი მზით რომ ივსებენ
და მერამდენედ წარმოიდგენ, შენი დობილიც
ზის ფანჯარასთან და იმავე ზეცას აპყურებს
ფანჯრის რაფაზე შიშველმკლავებრამოყრდნობილი.

და მშენებარ გარეუბნის ამწებიდან
პირველი ჩრდილი რომ ეცემა დამის მიწაყრილს,
შემოგასმება, სადღაც ჩატი ისე იძახის,
როგორც შენ გულში იმეორებ სიტყვებს პირვანდელს
მემლიარდედ და პირველი სუნთქვის სიხშირით
უახლოვდები, ვისაც სული შენი მიანდე.

იდუდებ ჩაის, იორთქლება ფანჯრის მინები,
ახლა აქ წერაც შეიძლება, სტვენს ჩაიდანი,
ვალიდოლივით სიტყვას, ენის ქვეშ რომ ჩაიდნე,
ერთი მონასმით მიახატავ მინას დაორთქლილს,
რადგანაც აზრი დაეკარგა გახმოვანებას
და არაფერი შეიცვლება მისი ამოთქმით.

დილის ყავა

ერთფეროვნების ყოველდღიურ მორიგეობით
თვითემაყიფილი სახეების გამოლენჩებით,
მოჩვენებითი რიტუალის გამო ეწვევი
ფინჯან ყავასთან შეყოვნებას და სიგარეტის
კვამლში ჩაძირვას და იმ წარსულს,

თვალს რომ უშტერებ,
გადაბრწყინებულს სიხარულის ასი კარატით,

რომელსაც ისევ გადაუვლის ანმყოს ღრუბელი,
ბიუტერის ბრჭყვალება ინყებს ჩაქრობას
და გეჩვენება, შენი ფიქრი ბაძავს აერობატს, —
განა სხეულის მოქნილობით, ანდა სისხარტით,
არამედ დროში მიძრაობით, ფრთხით ფრეგატის
და მუდამ საზრდოს საძებნელად განვდილ წისკარტით,

რომ მოიძიოს მიმალული სიტყვის მარაგი
ან საკუთარი განცდებადან ამოიტყუოს
წარმოსახული რეალობა, უხმოს ვირტუოზს,
შენს მოძრაობებს უნებლივ ფიქრს რომ აყოლებს.
უკვირს და ხელსაც ასავსავებს, რადგან სიტყვები
გექცა იმ ქვებად, შენს გარშემო რომ აყოლე

და ზიხარ შენში, მიტოვებულ ლანდის ავტორი
სიცარიელე ცხოვრობს შენში, როგორც ყალიბი
და ფიქრით წასვლა, ერთადერთი არის ალბი,
რომ აქ არ ცხოვრობ და ხანდახან ტოვებ საკუთარ
თავსაც და ფურცელს მიუყვები მელნის სიტყვებით,
წარსულ დროში რომ გამოჰყავდა კალამს სამუხას

და მეორდები, მეორდები და დღევანდლამდე
აღნევ ცალკეულ ბერებად და ასო-ნიშნებად
და გრძნობ, თანდათან თვალები რომ ამოგიშრება —
აგებილება ეს სიტყვები წატერიანები,
ყველი ფსონი ბოლო არი და ეს რულეტიც
თავისთვის ბრუნავს უთვალავჯერ წატრიალები.

ეპსარომატი

რა უცაპდად ჩამოფრინდი ამ ხევანთან
და საკენივით გაბნეული მზერა ამნაპნე,
შენ გოგო იყავ, გოგო ხარ და გოგოდ დარჩები
და ველის შროშანს ემგვანები გულზე დასაბნევს.

შენ, ალბათ, მინდვრად გაიზარდე და არც კი იცი,
რომ მოგიგონეს ეს კორპუსი, როგორც ალიბი,
თითქოს აქ ცხოვრობ, თითქოს მინდვრებს არ გაეპარე,
მაგრამ შენ ჰეგვარ ველის შროშანს ტყუპისცალივით.

სულს შეგიბერავ, მოლოდინის გულში ჩაგირავ,
მოგეფერები, მწყურვალ ფესვებს გაგიფხვიერებ,
ღილინ-ღილინით მივსეირნობ ძველი ბალისენ,
სადაც დომინო გაუმართავთ ჩემზე ხნიერებს

და ისე მინდა გავამხილო ეს საიდუმლო,
რომ საკენივით გაბნეული მზერა ამნაპნე,
ველარ მოგწყვიტე თვალი, როცა თვითონ მოგწყვიტე,
რადგან ელოდი მოწყვეტას და ადგილს დასაბნევს.



თამთა დოლიძე

პარაკირი

დადგა დღე
მუხლის მოყრის —
გაცვეთილი ყავარჯენებია,
გამართულად ცხოვრებას ნაჩვევი,
ვეღარ მოსთხოვ ქედის მოდრეკას.
დაგახარ და დაგიბლაგვდა მიზეზები,
რისთვისაც წლობით ილესებოდი.
დამჭენარ კანზე
ნაჭრილობებს ვერ შეამჩნევენ,
დამჭენარს ვეღარ შეგიყვარებენ,
თუნდაც მოკვდე,
თუნდაც თავი გამოიჭამო და
დარჩე.

ძაფის დაგრეხას ჰეგავს ეს თამაში —
ჯერ საჩერებულზე ჩამოცმული ჩემი უფორმო,
უფუნქციონ არსებობა
შეკუმშე და წამოაგე ფრთხილად სახელზე
და დაელოდე,
როდის ისნავლის მუხლის მოდრეკას
და მოთხოვა —
ერთგულებისთვის,
მერე გადახსნილ ძარღვებში ჩაბრუნე
(ძაფის ნემშიც წამოგება თავადაც იცი),
მთავარია, გეყოს სინათლე...
გეყოს სინათლე!

გრავიტაცია

ჩვენ, ვისაც გვერგო ქარის შიში, არასდროს გვძინავს!
ჯერ აკვნის, მერე გალიების — თითქოს სახლების
ცახცახი გვიცემს მაჯისცემად და გამალებით
უარყყიფით შიშის არსებობას, რადგან ხელები,
ხელისგულები ისევ გვიცემს,
ძვლების ძელებიც ადგილზე (ხშირად ვისინჯავთ),
ისევ მთელია, ისევ გვიჭრეს, სანამ მინდან
მინამდე მანძილს გადაგზომავთ და ჩავეშვებით
სიზმარშ, ჩვენი საწოლების, ცულისტარების
სივიწროვეში.

და ჩვენ, ვისაც გვერგო მინისძრის,
ორად გახლების, პირის გახსნის, გათქმის შიში და
რკინის მაღალი შემცველი ბორცში — გვიჭრდა,
როცა ლერნამი — დედამინა,
ქარ — უფალი...
და ჩვენ ვეძებდით საყრდენ კედლებს — ადამიანებს
და ნანგრევები ვეპოულობდნენ, რადგან გვიანი
იყო ეს ვეღარმარტოობა და ჩვენც მოვეშვით
კუბის დაკანულ სახურავებს და კვლავ მორევში,
მშობიართა ვერაფრითდაღვრილ სივიწროვეში
ჩავეშვით

და ჩვენ, ვისაც გვერგო მეტი წყალი და
ნაკლები თახა, გაგვიწყალდა ძვლების წენიანი
და ჩვენი შიში — მისი შუბლი, კედლებ ნამიანი...
როგორმე უნდა ამოვაშროოთ ცრემლი თვალიდან,
რომ მთას სიმაღლე ისევ ეყოს. მინის გაცრიდან
ფეხილის გაცრამდე დიდი გზაა,
ჯერ უნდა გაშრეს,
აზე აინთოს მზე და ნავის ქიმზე
ავიდეს.

ჩვენ, ვისაც გვერგო სუნთქვის შიში,
ცალ ფეხზე ვდგავართ
და ყელიდან ლავა ამოგვდის.
თუ თვალს გავახელთ, ვარსკელავებს ვგავარ,
ცის სიყვარულით მუცელში რომ დაავადეს
და დაბადება დაყრუების ფასად დაუჯდათ.
ამ მოულოდნელ სირუეში
ნაკარნახევი სიყვარულიც ჩერა, დამუნჯდა.
ჩვენ დაგმვებდით და ისევ ვიწამეთ,
რომ კვლავ მიარავ,
იყო ეს ვეღარმარტოობა და დავაბრუნეთ
შიმშილი თევზში,

თევზი — წყალში,
წყალი — მიწაში.

მოვიდა და ნაჯახივით დამკრა
სიმართლე,
ყური არ უგდო ჩემს სიჯიუტეს,
შემომათალა, შემომაფხიკა
ჭიანაჭამი გარსი — სამშობლო.
რაც გადარჩინა, ფიჩხადაც არ გამოდგა,
კუთხეში მიაგდო (სიზმრის).

დრო გავიდა და
აბლაბუდის გამჭვირვალე კანით დაფარულს,
დაუნერელი კანონების მორჩილებით სავსეს,
მომადგა და ისევ შემომაკრა
ის ჭიანაჭამი გარსი ჩემი.
ვერ ავიტანე, ფიჩხილებით ვკანრე,
შემოვიგლიჯე.
რას დარქმევდი ამ აფეთქებას,
ზაგას გარეშე,
ფირერვერკის,
ყოველგვარი შესავლის გარეშე?
მხოლოდ ფერფლი...
ერთი წამით რომ გაიხედე
ფერფლილა და ფერწერი.

ძილი ხეპისა

მითხარი, რატომ არ იწყება დილა სინათლით
და მხრების ჩრდილში რატომ ბორგავს სიცარიელე,
ან ამ სინელის სიმღლიდე დარღვებით ნათევამ სიმართლის
რატომ არ მჯერა, სხეულს რატომ ვითვალიერებ?

თითქოს დაცვარგვე (არც კი ვიცი) და მხოლოდ ჩარჩო,
მხოლოდ კონტური, მხოლოდ გუბე — წვიმის შედეგი...
მიზეზი არ ჩანს, მატო ცრემლი, რომელშიც ვახრობო
სიმრებს, შეცდომებს, გადავლილ შტორმის შედეგას.

მიმღერე ჩვენი იავნანა, ყელთან მიმღერე!
ამ ქალაქიდან ამომშალე, სადაც ქუჩები
გამოსაცენი სიყვარულით — გულსაბნევებით,
ჩაიდებული ხელებით და წყვილი ტუჩებით...

ამ ქალაქიდან, სადაც ტალღებს არ მიაპობენ,
სადაც სახლები — ჩაიდები, ჩვენი ფიქრებით
უცეცხლო მინას, უღრუბლო ცას, დუღან, ათბობენ,
და თუ სიჩუმე გადა

— მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის უკეთ გააზრებისთვის, ეს მიმდინარეობები განვიხილოთ ეპოქების ჭრილში: რა ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენებით ხასიათდება მოდერნის თუ პოსტმოდერნის ეპოქები?

ზურაბ ქარუმიძე — არის სხვა ტიპის ათვლაც, რომელიც მოდერნულობის საწყისად განმანათლებლობას მიიჩნევს, რომელიც თავის მხრივ ემყარება XVII საუკუნის ინტელექტუალურ ძრებს — ვთქვათ, კარტეზიანულ რაციონალიზმს, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციაც ბიძგს აძლევს მოდერნიზმს, მაგრამ ეს ისტორიული მოდერნიზმია, ჩვენ ამჯერად სახელოვნებო მოდერნიზმზე ვლაპარაკობთ.

კ.ბ. — აქვე დავამატებდი, რომ ცნებები — „მოდერნი“ და „მოდერნიზმი“ — უნდა გაიმიჯნოს: „მოდერნიზმი“ არის საკუთრივ სახელობრივი და ლიტერატურული სივრცე, რომელიც მოიცავს დაახლოებით 1880-1950 წლებს, „მოდერნი“ უფრო ისტორიული ტერმინია, ისტორიული ეპოქის აღმნიშვნელი ტერმინი.

კ.ბ. — მოდერნიზმი, როგორც ესთუ-
ტიკური ფერწმენი, უპირისპირდება თავის
ეპოქას — მოდერნის ეპოქას. ზედმეტმა
რაციონალიზმა, ტექნიკურატიზმა, სცი-
ენტიზმა გამოიწვია დეპუმანიზაცია. ნიც-
შეც ამიტომ წუხას, რომ ამ პირობებში სიც-
ოცხლე კვდება. წმინდა, საკალური, მი-
თოსური არაფერი რჩება და ადამიანის
ნიველირება ხდება. მისთვის მისი თანამედ-
როვე მოდერნის ეპოქა, ისტორიული მოდ-
ერნი, დეკადანისის გამოხატულებაა. მოდ-

- მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი ისტორიულ-პოლიტიკურ ჭრილში
 - მაღალი მოდერნიზმის ხანა დასავლეთსა და საქართველოში
 - მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ძირითადი პრინციპები
 - პოსტმოდერნისტული ტენდენციები საბჭოთა პერიოდის კულტურულ-სახელოვნებო სივრცეში
 - ახალი ტალღა პოსტსაბჭოთა პერიოდის ლიტერატურაში
 - პოსტ-პოსტმოდერნიზმის ახალი პორიზონტები

ამ თემებზე სასაუბროდ მოვიწყეთ ზურაბ ძარშავიძე (ლიტერატურათმცოდნე, მნერალი), პაპატა ჩხეიძე (ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი) და პოპა ბრებაძე (ლიტერატურათმცოდნე, გერმანისტი).

„იცყვანა რაღაც ახალი —
რხევები მოდერნიზმსა და
პოსტმოდერნიზმს შორის“



ერნიზმის ავტორებსაც (თომას მანი, ჰერ-
მან ჰესე, ჰერმან ბროხი და სხვა) სწორედ
ეს პრობლემები ანუსებებთ.

კბ. — მოდერნიზმისთვის ძვირფასია
წარსული ლიტერატურული გამოცდილე-
ბა. მოდერნისტები ორიენტირებული არი-
ან პარიკოზე, რომანტიზმზე, ამ ლიტერ-
ატურული თუ სახელოვნებო ეპოქების ეს-
ტენის და არა არა არა არა არა არა არა

პაატა ჩხეიძე — ძალიაბ მორს რომა არნავიდე, კონკრეტულად ლიტერატურულ მოდერნიზმზე ვისაუბრებ. XX საუკუნის დასაწყისში იყო დიდი მსოფლიო გამოფენა, შემდეგ პირველი მსოფლიო ომი. ახალმა ტექნოლოგიებმა და პირველმა მსოფლიო ომმა მოიტანეს ახალი ხედვა. თუ XIX საუკუნეში ყველაფერი აღქმული იყო მთლიანობად, XX-ში გაჩნდა დანართებულობის განცდა. ისტორიას მოდერნიზმი აღარ უყურებს როგორც მთლიანობას. სიცოცხლის ფილოსოფია ანაცვლებს რელიგიას. ყველაფერი იქიმ მიდის, რომ ძალანს სერიოზული კრიზისი იწყება. ამ კრიზისს ტომას ელიოტი წარმოგვიდგენს თავის ლიტერატურულ პუსებში. შემდეგ განსაკუთრებით დიდი მოვლენა იყო ლიტერატურის სიმარტინის ჯონისის გამოჩენა. უწყევეტობას, მთლიანობას გაუჩნდა ნაპრალები, ბზარები.... ამას მოჰყვა განცდა ისტორიის დაკარგვისა. როგორც ყველაფერის მიმართ ამას ჩნდა ამომავა ანუადა რიანავა.

ରୀତ, ଯଦି ନାହାରାଲମ୍ବନ୍ଧୁଗ୍ରାହୀ ନିଷ୍ପ୍ରେରା ରୂପାକ୍ରିଯା,
ମାଗଦିଲୋତାବ୍ଦୀ, ଏଣ୍ଟାରୋଟିମ୍ ଅଠରିତ, ଉତ୍ତରାମ୍ବୁଦ୍ଧ
କୁଣ୍ଡଳିଶ୍ଵର ଗାବାଥର୍କୁଣ୍ଡଳୀ ଶ୍ରନ୍ଦିତ ନିଷ୍ପ୍ରେରା
ତାଙ୍କିରାଜ ଦୋଷମଧ୍ୟ ଏବଂ ନିଷ୍ପ୍ରେରା ନିଷ୍ପ୍ରେରା
ଶ୍ରେଷ୍ଠିକରଣିତ, ରୀତକୁଣ୍ଡଳୀ ପ୍ରାଚ୍ୟବାଲୀ.
ନାହାରାଲମ୍ବନ୍ଧୁଗ୍ରାହୀ ମିଳିନ୍ତିମିଳି ଶ୍ରେଷ୍ଠିକରଣିତ
ନାହାରାଲମ୍ବନ୍ଧୁଗ୍ରାହୀ ମିଳିନ୍ତିମିଳି ଶ୍ରେଷ୍ଠିକରଣିତ

დაიავევოებულობა მოდერით ითი იქ მოდის და შემოდის აგრესიულად, რის გამოც ჩნდება მოთხოვნილება, რომ შეიქმნას თანამიმდევრულობა რომანებისა, მოთხოვნილებისა და ლექსებისა. ესაა მოთხოვნილება ეპოქის ხასათის გადმოცემისა.

ზ.ქ. — მინდა, გავაკრძელ ეს ხაზი ქაოსის, ნერვებისა და დანანერვრებულობის განცდა აშკარად შეიმჩნეოდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, მაგრამ არამარტო ომის გამო, ამ პროცესს ხელს უწყობდა მეცნიერებაში ატომის გახლება, ფსიქოანალიზი თავისი ცნობიერების დანაწევრებით და ასე შემდეგ. დადგა ამოცანა ამ ქაოსის და ფრაგმენტულობის გადა-

კ.ბ. — 1916 წელს მსოფლიო ოში მიმდინარეობდა, ამ დროს სწორედ ომის პიკი იყო და მაშინ გამოვიდნენ ცისფერყან-ნელები ასპარეზზე. ისინი აკვირდებოდნენ მიმდინარე მოვლენებს. ტიკიან ტაბიძე პირდაპირ სვამდა კითხვას („ცისფერი ყან-ნებით“): რამდენად ვიქენებით ჩვენ, ქართველები, მზად ესთეტიკურად თუ პოლიტიკურად, როცა ეს ომი დამთავრდება? ეს არ იყო მოდას აყოლა და არც გაუცნობიერებელი მიტაცია. ჩვენი მოდერნისტები განიხილავდნენ ქართული ლიტერატურის განახლებას ეკროპული რადიუსით. ესთეტიკური და პოლიტიკური ერთმანეთს გადაეჯაჭვა და ეს მათ მანიფესტებშიც აისახა. ევროპა, დასავლეთი მოხა. ჩვენში მზად არის ნიადაგი მოდერნიზმისთვის — აცხადებდნენ ისინი. სხვათა შორის, ჩვენში სწორედ იმ ხანებში პოლიტიკური „მოდერნიზმიც“ განხორციელდა — პირველი რესპუბლიკა ეს მოდერნული პროექტი იყო. თავად ქართული მოდერნიზმი იყო ის ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი სივრცე, რომელიც ქართულ კულტურას დასავლურ გეზს აძლევდა, ეს იყო მკვეთრად გამოხატული დასავლური პროექტი.

პ.ჩ. — გრიგოლ რობაქიძე იცნობდა
ევროპული მოდერნიზმის ყველა ნიუანსს.
მან შემოიტანა მოდერნისტული იდეები
თავისი ლექციებით, თავისი ფილოსოფი-
ური ხედით. მოდერნისტები ხომ რობა-
ქიძის მოსწავლეები იყვნენ, გარდა გალაკ-
ტიონისა. გალაკტიონიც მოდერნისტია,
მაგრამ ის გენიოსია და თავისი გზა აქვს.

ზ.ქ. — ქართველი მოდერნისტები
ძალიან კარგად იცნობდნენ XIX საუკუნის
მოდერნისტების შემოქმედებას, უშუალოდ
ალიქვამდნენ მათ, კარგად ხედავდნენ მათ
მნიშვნელობას. ეს იყო შარლ ბოდლერი,
ედგარ პო... ძალიან აინტერესებდათ კიდევ
ერთი ევროპული ფენომენი — კომედია
დელ არტე. ამას დაემატა ნიცშე — რო-
გორც სულიერი საზრდო და ვაჟა-ფშავე-
ლა. მე მიმაჩინია, რომ პირველი ქართველი
მოდერნისტი ლიტერატურაში ვაჟა-ფშა-
ველა იყო თავისი საოცარი მითოლოგიური
ელემენტებით, ხოლო ფერწერაში — ნიკო
ფიროსანი.

— კონსტანტინე გამასახურდიას ნა-
ნარმობებზე რას ფიქრობთ ამ კუთხით?
გ. — აშშ ახორცივა პირველი რომელი

ბ.ქ. — გაძასაზურდიას პიოველი ომანან „დიონისოს ღიმილი“ მოდერნისტული ნაწარმოებია.

კ.ბ. — „დიონისოს ლიმილის“ წერის
პროცესში, 1923 წელს, გამსახურდია იმყ-
ოფებოდა პარიზში. იქ სორბონის უნივერ-
სიტეტში ერთი სემესტრის მანძილზე ეს-
წრებოდა და ისმენდა ფრანგი ფილოსოფო-
სის, ანრი ბერგსონის ლექციებს. ეს ის პე-
რიოდია, როცა ბერგსონის გავლენა მოდ-
ერნისტებზე ძალიან ძლიერია. ვეჭვობ, რომ
გამსახურდიამ ბერგსონის ლექციების გავ-
ლენით შეცვალა „დიონისოს ლიმილის“
ტექსტის ნარატიული სტრუქტურა: ის
თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავდა,
რომ რამდენჯერმე დაწერა „დიონისოს
ლიმილი“. ბოლო ვერსიას, რაც გამოქვეყ-
ნდა 1925 წელს, ძალიან ეტყობა ბერგსო-
ნის ინტუიტივიზმით ინსპირაცია. კონ-
სტანტინეს ამ რომანში მოცემულია ცნო-
ბიერების ნაკადის, შინაგანი მონოლოგის
ნარატიული ტექნიკა, რაც ქმნის კიდევ ც-
მოდერნიზმის თხრობის სპეციფიკას. მინ-
და, აღნიშნო, რომ ძალიან მნიშვნელოვა-

ბ.ქ. — ესთონი, რაც გამარტივებულ ქართველ ელ მოძრენისტებს, ეს არის ნაციონალიზმის მომენტის წილი წამონება.

კ.ბ. — 1924 ხლის აჯახეყბისა და მისი ჩახშობის ფონზე, ალპათ, არც არის გასაკვრი, ასე ვთქვათ, „ეროვნული სევ-დის“ თემატიზება ქართულ მოდერნიზმში.

პ.ჩ. — ვერ დაგეთანხმებით, რომ ნაციონალიზმით მხოლოდ ქართველი მოდერნისტები გამოირჩევიან. მაგალითად, ეზრა პაუნდი, ვინდჰემ ლუისი, კნუტ ჰაմსუნი, ასევე უილიამ ფოლკნერი და მისი მეგობრები სამხრეთის შტატების ნაციონალიზმით გამოირჩეოდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ დაპყრობილი ერის შვილები იყვნენ და ცდილობდნენ საკუთარი ად-

ლიტერატურული განვითარების მუნიციპალიტეტი

ტრადიციულ ღირებულებებს პატივის სცენებინ, მზად უნდა იყოს, რომ გამოიხმაურებიან და დაგმობენ კიდევ. მთავარი მაინც ლიტერატურული ტექსტის მხატვრული ღირებულებაა. თუ ის რაღაც გარკვეულ მიმართულებას და ტენდენციას გამოხატავს, მაღალ მწერლურ სტანდარტებს იცავს, მაშინ მწერალი მზად არის საზოგადოების რეაქციისთვის. თუმცა, ხშირად, რაღაც მხოლოდ ეპატაჟისთვის კეთდება და, უმეტესად, ლიტერატურაც კი არ არის ხოლმე.

— რა თქმა უნდა, თვითმიზანი არ უნდა იყოს უხამსობა და საკრალურის შეურაცხვოფა.

ბ.ქ.— თვითმიზანი არც არა ფერი უნდა იყოს, მწერალმა ყველაფერი უნდა გამოიყენოს საშუალებად, რომ ნამდვილი ლიტერატურა შექმნას.

ქ.ჩ. — მთავარია, რა მიზნით იწერება ესა თუ ის ნაწარმოები. მაგალითად, როსტომ ჩეხეიძე როცა ბიოგრაფიულ რომანებს წერს, მისი ერთი მთავარი მიზანი საპტოთა და მთლიანად კოლონიურ ეპიქაში უსამართლოდ მივიწყებული სახელების გამომზეურებაა. ჩვენ ხომ საშინელი პერიოდი გამოვიყარეთ და აუცილებელია, ობიექტურად განიხილებოდეს ის ისტორიული ფაქტები, რის შესახებაც ჩვენ მხოლოდ სიმართლის ნაწილი ვიცოდით და დღესაც არ სურთ მრავალთ, სიმართლის ბოლომ-დე თქმა, არამიზანებონილად მიაჩინათ.

— კვერცხის მატერიალის
საქართველოდან გვაქვს ასევე გარკვეული პოსტმოდერნისტული გამოცდილება არა მხოლოდ პრიზაში, არამედ პოეზიაშიც. ვგულისხმობ ტარიელ ჭანტურიას, ვახტანგ ჯავახეძის, ბერი ხარანაულისა და ლია სტურუას პოეზიას.

ତ୍ରୀ. — ତୁଳାରୀଙ୍କ କୁନ୍ତଲାରୀଙ୍କ, ବାବୁକାନ୍ଦିଙ୍ଗ
ଜୟାବାବାଦୀ, ଦେଶିକ ବାରାନ୍ଦାଜୁଲ୍ଲି, ଲିଲା ସତ୍ୟରୂପା
ଇଲ୍ ପରେତ୍ରିବୀ ଅରାନ୍ଦ, ରମ୍ଭେଲାତା ଶେମର୍ମେହେଇ-
ଦ୍ବାଚୀପ ଏକନ୍ଧୁ ଶେମଦ୍ଵାରମ ମତେଣ କାରତୁଲିନୀ
ପାଲସତ୍ରମଦ୍ଵାରନିଲିକୁଲ୍ଲି ଉପର୍ଯ୍ୟନ୍ତ ପରେତ୍ରିବୀ
ଅରାନ୍ଦ ପରେତ୍ରିବୀ କିଲାଦୀ, ଗିର୍ଜା ଗ୍ରେଟ୍ଫିଲ୍ଡରି....
ଇଲିନ୍ଦି ଫଲିଲାନ୍ଦେବ୍, ଶେମର୍ମୋତ୍ତାନନ୍ଦ ଆଶାନ୍ଦ
ଶାତ୍ରମ୍ଭେଲୀ, ମାତି ଧାନ୍ତର୍ମର୍ଗିଲା ଇନନ୍ଦିନ୍ଦୁଷ୍ଟି-
ପାରନ୍ଦଦିନ୍ଦୁଷ୍ଟି ଲାଇରିକା, ପ୍ରେରଲିବର୍କୀ,
ରମ୍ଭେଲାତା ପରେତ୍ରିବୀ ଫୁରମା ଦା ଅରା
ଲ୍ଲେକ୍ସାଫ ଫାଲାଗ୍ରେବ୍ୟଲ୍ଲି ପରିଥା, ରାଶାଫ
ଫଲ୍ଲେସ, ସାମ୍ବିନ୍ଦୁକାରନ୍ଦ, ବିଶିରାଦ ଶେବ୍ବେଦେବିତ
ଦା ପାକ୍ଷେତ୍ର କିନ୍ଦା; ପାକ୍ଷେତ୍ର କିନ୍ଦା, ରମ୍ଭେଲାତା
ଲ୍ଲେକ୍ସଶି ପାକ୍ଷେତ୍ର ପରେତ୍ରିବୀ ସତ୍ରିକେନ୍ଦ୍ରି...

— 1990 წლიდან სრულიად ახალი
ტალღა შემოვიდა ქართულ ლიტერატურ-
აში. თუმცა მანამდე იყო რეაქტიული
კლუბი და მისი ლექსები. იმ პერიოდში
გაზიარდი — „ლიტერატურა და სხვა“ —
ვებგვარი პროზის განყოფილების რე-
დაქტორად. მახსოვს, ზურაბ ქარუ-
მიძემ თავისი პირველი მოთხოვბა
„Blow-Up“ რომ მოიტანა, სრულიად ახა-
ლი რაღაც იყო და დიდი აუკიოტაჟი გამ-
ონვია. შემდეგ მისი მეორე მოთხოვბაც
დავძეჭდეთ „ხარება რომ დაემთხვევა
აღღვამას. 1991“.

— რა ძირითადი ნიშნებით ხასიათდება თანამედროვე ქართული პოსტმოდერნისტული ტექსტები?

დღის ს მოძგორის მას, ოადგის თანაბრძე
გვქონდა უკვე რაღაც გამოცდილება კი-
ნოში, თეატრში, სახვით ხელოვნებასა და
ლიტერატურაში, რამაც ბიძგი მისცა
პასტმოდერნისტულ ტენდენციებს. ჩვენ
ძალზე წინ წასული კინო გვქონდა,
ვგულისხმობ გია დანელიას, ოთარ იოსე-
ლიანის და ელდარ შენგელაიას ფილმებს.
ფერწერაში ირაკლი ფარჯიანის მხ-
ატვრობას გამოვყოფილი. ჯერ კიდევ 80-აან
წლებშია შესრულებული მისი ნახატები.
ბევრი კარგი იმიტაცია აქვს, სადაც კლასი-
კა და ავანგარდი ერთმანეთში კარგად

ჯდება, არის დეკონსტრუირების და სიცორიელის მომენტები. ასევე აღსანიშნავი ავთო ვარაზის კოლაჟები.

პოსტმოდერნიზმი უკვე მემკვიდრეობაა, რომელიც ამ ყველაფერმა მოიტანა. ამ მხრივ, ქართულ მწერლობაში გამორჩეული ფიგურაა გალაკტიონი, რომელმაც ცისა და ლირიკული მოტივები მოიცავს.

ყველა ფორმა ძოშინჯა პოზიტივ, რაც კი შეიძლებოდა. გალაკტიონის შემდეგ ძებულია რაღაც ახლის მოძებნა. როცა ინსტრუმენტზე ყველა მელოდიაა დაკრული, რაღა უნდა ჰქნას ახალმა პოეტმა?! თუმცა ამ მიწრიდა მათოლძა ანო აარდოოსა,

ცა ამ მხრივ მცდელობა უნდა გაგრძელდეს და გრძელდება კიდეც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ, დავით წერედიანის „დაუძლეველი სურვილი პირისპირ დარჩეს ქართულ, ტრადიციულ, შეუმღვრეველ ხმებთან“, ლექსების კრებულში, „ორიონი“ და ჩვენც ყური მიგვაძრუნებინოს დავიწყებული ჰანგებისაკენ; საყურადღებოა დავით მაღრაძის მცდელობა, რთული სალექსო ფორმები შეუხამოს მყითხველთან უშუალო საუბარს, კრებულში უსაკარის.

— რა ძირითადი ნიშნებით ხასიათდება თანამედროვე ქართული პოსტმოდერნისტული ტექსტები?

კ.პ. — პირველი ნიშანი პოსტმოდერნისტული ტექსტებისა არის კლასიკური ტექსტების დეკონსტრუქცია-პაროდიორება. მაგალითად, აკა მორჩილაძის მოთხოვობა „აჯანყება კახეთში 1844 წელს“, ეს არის ლუარსაბ თათქარიძის პერსონაჟის დეკონსტრუქცია მისი ახალი „ბიოგრაფიის“ საფუძველზე. აკა მორჩილაძე გვთავაზობს ალტერნატივას იმ ჩამოყალიბებული ეპისტემესი, რაც ოლიამ მოგვცა თათქარიძესა და ეგრეთ წოდებულ თათქარიძეობაზე: აკა მორჩილაძის „ლუარსაბარებაში“. მნიშვნელოვანი ტექსტები ესაკუთრივ უკავშირდება მარტინ კრეისტერის მიერ და მარტინ კრეის მიერ უკავშირდება. მნერლიანი ზე კომპიუტერთან დასრულიად ფლობს სიტუაციას. ავტორი თავად არის და ტექსტიც. ანუ ტექსტი ალარ არსებობს როგორც ასეთი. ამ ბოლო დროს მომრავლდა ფეისბუქ-სტატუსების გამოქვეყნება, „ჩანანერების“ სახით გინდ გაზიერები და გინდაც წიგნად. თუმცა, შესაძლოა, ძალიან საინტერესო იყოს, მაგრამ ხომ არ მივდივართ ყალბ მოდერნიზმისკენ? როგორი ლიტერატურის მოლოდინი უნდა გვქონდეს პოსტ-პოსტმოდერნულ ეპიკაზი?

პ.ჩ. — ჩემი აზრით, როგორც ლიტერატურულ გაზიერები ჩანანერები და მცირე პროზა იბეჭდება, ეს მხოლოდ მისასალმებელი იყო.

ლია, სწორედ რომ საგაზიონ მასალაა, ძალიან ცოცხალია და საინტერესოდაც იკითხება. ჩანაწერები კლასიკური ჟანრია და გავრცელებულია მთელ მსოფლიოში, მაგრამ ამასთან ერთად იწერება ვრცელი რომანებიც, რომლებიც ჩვენ უკვე ვახ-სენეთ.

ზ.ქ. — მაგალითად, ჰერუკი მურაკამი ძალიან დიდ რომანებს წერს.

— იაპონური პროზა აბსოლუტურად განსხვავებული მოვლენაა — მარადიული მოდერნიზმი...

კ.ბ. — შეგვიძლია, გერმანელი პოსტ-
მოდერნისტებიც ვახსენოთ: პატრიკ ზიუს-
კინდი, დანიელ კელმანი, კლაუს მოდიკი,
ჰელმუტ კრაუსერი. მათ სქელტანინა
რომანები აქვთ, გამოგონილ ბიოგრაფიე-
ბს წერენ. ეს უანრი ძალიან პოპულარულია
პოსტმოდერნიზმში. სიმულაცია მიღის,
რომ ვითომ ვიღაც პერსონაჟი რეალური
პიროვნებაა და ინერება მისი ფიქციონა-
ლური ბიოგრაფია; ან ვითომ რაღაც ხელ-
ნაწერს აღმოაჩენენ, ან რომელიდაც (პნო-
ბილი ფერწერული ტილო იყარება) და შემ-
დევ მის ძიებაზეა აგებული მთელი ტექს-
ტი, რომელიც ორმაგადაა კოდირებული
და წმინდა ფიქციაა, რომელსაც გარესამ-
ყაროსთან, სოციალურ სივრცესთან
არანაირი აქსიოლოგიური და კრიტიკული
მიმართება არ აქვს, მხოლოდ მკითხ-
ველზეა მიმართული და ავტორისაგან
ამოცანად დასახული აქვს მკითხველი-
სათვის ინტელექტუალური სიამოვნების
მინიჭება.

გაგრძელდა. ახლა იწყება რაღაც ახალი — რხევები მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმს შორის. ხდება მოდერნისტული ენთუზიაზმისა და მიღმიერსკენ სწრაფების, ერთი მხრივ, და პოსტმოდერნისტული რელატივიზმისა და ირონიის შერწყმა. ეს რელატივიზმი უნდა გადაილახოს. ახალი ჰორიზონტები ჩნდება ხელოვნებაში, რომელთა მიღწევა შეუძლებელია, რადგან როცა ჰორიზონტისკენ მიდიხარ, ის ისევ გშორდება და გშორდება, მაგრამ შენ მაინც აგრძელებ სვლას. თავისებური ნეო-რომანტიზმსაც ეძახიან ამას. ლაპარაკია იმ ფუტურე-თამაშის გადალახვაზე, რაც ხდებოდა პოსტმოდერნიზმი. რაღაც მეტი შინაარსის ძიებაზეა ლაპარაკი, რომელიც შეიძლება არც არის, მაგრამ შენ მაინც აგრძელებ ძიებას. თავისებური ნეგატიური დიალექტიკა შემოაქვთ. მაგრამ, როგორც კი გამოჩენდება რაიმე ლოგოცენტრისტული, მაშინათვე უნდა დაიშალოს, დეკონსტრუირდეს. ვითომ არის საზრისა და მიდიხარ იქითკენ. ეს არის პოსტ-პოსტმოდერნიზმი, ასევე ალტერ-მოდერნიზმსაც არქევენ, თუმცა მე უფრო მეტა-მოდერნ-

საუბარს უძღვებოდა

